



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1/415/22

14-09-2022

„2022 წელს საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის კანდიდატურების წარდგენის წესის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 228³ მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს „2022 წელს საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის კანდიდატურების წარდგენის წესი“ (თან ერთვის).
2. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2022 წლის 14 სექტემბერს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადების დღიდან.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადების დღიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

პარლამენტის თავმჯდომარე
შალვა პაპუაშვილი